ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2024 წლის კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

საკითხები:
GMUS-ში რეგისტრაცია
გრანტის მიმღები
უცხოელი კონსულტანტი
ბიუჯეტი

GMUS-ში რეგისტრაცია

1. რეგისტრირდება თუ არა GMUS-ში, ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს? თანადამფინანსებელი პირი?

   პასუხი: პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეგისტრირდება GMUS-ში, ქმნის „ორგანიზაციის პროფილს“ და ტვირთავს კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის კ-ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებს. GMUS-ში არ რეგისტრირდება თანადამფინანსებელი ფიზიკური/იურიდიული პირი და ის იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს.

გრანტის მიმღები

2. შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი და იგივე პირი იყოს ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში მონაწილე ორი პროექტის კოორდინატორი?

პასუხი: შესაძლებელია. ძირითადი პერსონალის სტატუსით ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია ჩართული იყოს ჯამში მხოლოდ ორ პროექტში. იგულისხმება, როგორც ფუნდამენტური კვლევების 2024 წლის საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი, ასევე, ის მიმდინარე პროექტი, რომელიც დაფინანსდა ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში:

- ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (FR),
- გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების (AR) და
- უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსები (DI).

პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ, თუ მასზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი, დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და არ არის დახურული 2024 წლის 12 აპრილის მდგომარეობით.

3. შესაძლებელია თუ არა, პროექტში წამყვანი ორგანიზაცია იყოს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

4. რა ფუნქციები შეიძლება ჰქონდეს დამხმარე პერსონალს?

პასუხი: დამხმარე პერსონალი – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირ(ებ)ი, რომლებიც ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. დაუშვებელია დამხმარე პერსონალმა შეასრულოს ძირითადი პერსონალის ფუნქციები (მაგალითად, ძირითადი პერსონალისაგან დამოუკიდებლად წარადგინოს პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე, განახორციელოს კვლევითი ვიზიტი საზღვარგარეთ, დაწეროს სტატია და მონოგრაფია).

5. შეიძლება თუ არა, ძირითადი პერსონალის სტატუსით პროექტში ჩაერთოს სტატუსშეჩერებული დოქტორანტი ან მაგისტრანტი? რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. გაითვალისწინეთ, მეცნიერის პროფილში, განათლების ველში მათ უნდა წარმოადგინოს 2024 წელს გაცემული ცნობა დოქტორანტურაში/მაგისტრატურაში სწავლის შესახებ.

6. პროექტის ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა მუშაობდეს წამყვან ორგანიზაციაში?

პასუხი: არა. პროექტის ხელმძღვანელს, ისევე როგორც ძირითადი პერსონალის სხვა წევრებს არ მოეთხოვება წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციასთან აფილიაცია.

7. კვლევაში უნდა მონაწილეობდეს თუ არა კოორდინატორი?

პასუხი: დიახ, კოორდინატორი, ისევე როგორც ძირითადი პერსონალის ყველა წევრი, არის მკვლევარი და უნდა მონაწილეობდეს კვლევაში.

8.როგორ უნდა წარმოვადგინოთ CV-ები?

პასუხი: პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები (CV) ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის - ინგლისურ ენაზე. **CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურ ენოვან CV-ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითებით.**

9. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადმა პერსონალის დიპლომს აუცილებელია თან ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი?

პასუხი: არ არის აუცილებელი. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

10. შესაძლებელია თუ არა, რომ ძირითადი პერსონალის უცხოელმა წევრმა ელექტრონულად მოაწეროს ხელი კანცელარიაში მოსატან განცხადებას?

პასუხი: არ შეიძლება. ფონდში წარმოდგენილი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ დამოწმებული უნდა იყოს ძირითადი პერსონალის ყველა წევრის (როგორც საქართველოს ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების) ცოცხალი ხელმოწერით. ასევე წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილი პირების ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით. განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურში მონაწილეობაზე.

11. შესაძლებელია თუ არა, რომ ძირითადი პერსონალის რომელიმე წევრმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებაზე ხელმოწერის უფლება მინდობილობით გადასცეს სხვა პირს და მან მოაწეროს ხელი განცხადებას?

პასუხი: შესაძლებელია. ამ შემთხვევაში კანცელარიაში განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოთ შესაბამისი მინდობილობაც.

12. ხელმძღვანელისთვის როდის იქნება ხელმისაწვდომი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ?

პასუხი: მას შემდეგ რაც პროექტს ფონდში გადმოგზავნით ანუ დააწვებით submit ღილაკს, გექნებათ შესაძლებლობა ჩამოტვირთოთ განცხადება.

უცხოელი კონსულტანტი

12. შეიძლება თუ არა, რომ კონსულტანტი იყოს ქართველი?

პასუხი: არ შეიძლება. კონკურსის პირობების მიხედვით, კონსულტანტის სტატუსით პროექტში შეიძლება ჩართული იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც მუშაობენ პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემატიკაზე და კონსულტაციას გაუწევენ ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში.

13. შეიძლება თუ არა, რომ ერთი პირი იყოს რამდენიმე პროექტის კონსულტანტი?

პასუხი: შეიძლება.

14. უცხოელი კონსულტანტი აუცილებლად დოქტორი უნდა იყოს?

პასუხი: არა. კონკურსის პირობები უცხოელი კონსულტანის აკადემიურ ხარისხთან დაკავშირებით შეზღუდვას არ ადგენს.

15. განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ უნდა მოაწეროს თუ არა ხელი უცხოელმა კონსულტანტმა?

პასუხი: უცხოელი კონსულტანტი განცხადებას ხელს არ აწერს.

ბიუჯეტი

16. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს წელიწადში - აქ ახალგაზრდა მეცნიერების დაფინანსებაც შედის?

პასუხი: არა. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 40 000 ლარს, თუ პროექტში ჩართული არ არის ახალგაზრდა მეცნიერი.

17. ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში რამდენია წლიური საგრანტო დაფინანსება ძირითადი პერსონალისათვის?

პასუხი: პროექტში ერთი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 45 000 ლარს, ხოლო ორი ან მეტი ახალგაზრდა მეცნიერის ჩართვის შემთხვევაში წელიწადში 50 000 ლარს.

18. ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვის შემთხვევაში თითოეული მათგანის საგრანტო დაფინანსება უნდა იყოს არანაკლებ 9000 ლარი თუ ყველა ახალგაზრდა მეცნიერის ჯამურად?

პასუხი: ჯამში ყველასთვის არა. პროექტში ჩართული თითოეული ახალგაზრდა მეცნიერის საგრანტო დაფინანსება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 9000 ლარს წელიწადში.

19. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება თანაბრად უნდა გადანაწილდეს თითოეულ მათგანზე?

პასუხი: არ არის სავალდებულო. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს წელიწადში. რამდენიმე დამხმარე პერსონალის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა უნდა გადაანაწილოთ მათზე საჭიროებისამებრ.

20. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება - 5 000 ლარი წელიწადში ერთი ადამიანისათვის არის განსაზღვრული თუ რამდენიმე ადამიანისათვის?

პასუხი: დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს წელიწადში. რაც გულისხმობს, რომ თუ გყავთ რამდენიმე დამხმარე პერსონალი, აღნიშნული თანხა უნდა გადაანაწილოთ მათზე

21. იბეგრება თუ არა ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება?

პასუხი: არა, ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ იბეგრება.

22. იბეგრება თუ არა უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი?

პასუხი: დიახ, უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი ექვემდებარება დაბეგვრას.

23. იბეგრება თუ არა დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება?

პასუხი: დიახ, დამხამრე პერსონალის შრომის ანაზღაურება ექვემდებარება დაბეგვრას.

24. რომელ მუხლში უნდა მივუთითო სტატიის გამოქვეყნების ხარჯი ?

პასუხი: სტატიის გამოქვეყნების ხარჯი უნდა ასახოთ საქონელი და მომსახურების მუხლის „ოფისის ხარჯები“ კატეგორიაში, კერძოდ, 4.1 პუნქტი.

25. თუ სტატიის გამოქვეყნება 500 ლარზე მეტი ჯდება, ბიჯეტის რომელ მუხლში უნდა მივუთითო?

პასუხი: საქონელი და მომსახურების მუხლის „ოფისის ხარჯების“ კატეგორიაში. 500-ლარიანი შეზღუდვა ეხება მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკას, ინვენტარსა და მოწყობილობას, მომსახურებაზე თანხის შეზღუდვა არ მოქმედებს.

26. ზედნადები ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 5% თითოეული ტრანშისათვის, თუ ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების მთლიანი ბიუჯეტისათვის?

პასუხი: ზედნადები ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს. თითოეულ ტრანშზე ასეთი შეზღუდვა არ დევს კონკურსის პირობებში.

27. რომელ მუხლში უნდა გავითვალისწინო ლაბორატორიული მომსახურების ხარჯები?

პასუხი: აღნიშნული ხარჯი უნდა გაითვალისწინოთ ბიუჯეტის მე-4 მუხლში, კერძოდ, 4.7 - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების კატეგორიაში.